პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

18 აგვისტო
ხუთშაბათი

1918. მოსკოვის გუბერნიის კომ. ღარიბ. ლატაკთა ყრილობის გახსნა.
1906. რეველში დახვრეტილ იქნა 17 მეზღვაური და 1 აგიტატორი.
1878 პოლონელ სოციალისტების პირველ დაპატიმრებანი პოლონეთში.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დ. ლ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № საერთო №

გაზეთის დაკვეთა და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4.

ტელეფონი №

დღიური:

— წითელ პროფკავშირთა საბჭოს დადგენილებით, 1—8 დეკემბერს ყველა ქვეყნებში გაიმართება პროფკავშირთა წითელი ინტერნაციონალის კვირა.

— ლატვიაში დაიწყო ებრაელთა დევნა.

— რომში (იტალია) გაიმართა მუშათა გრანდიოზული დემონსტრაცია 60 000 კაცის მონაწილეობით თეთრგვარდიელთა ძალმომრეობის წინააღმდეგ.

— რუმინეთის პარლამენტში მოხდა სკანდალი: ვაჭრობის მინისტრს მექრთამეობა დასწამეს და ფიზიკურად შეურაცხყვეს.

№ 138 ხუთშაბათი, 18 აგვისტო, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი ხუთშაბათი, 18 აგვისტო, 1921 წ. № 138

სარკინიგზო ტარიფების გადიდების გამო

ამიერ-კავკასიის რკინის გზების გაერთიანების შემდეგ საკითხი დადგა სარკინიგზო ტარიფების გაერთიანებაზედაც. საქართველოს რკინის გზებზე არსებული ტარიფები განსხვავდებოდა საბჭოთა აზერბეიჯანის, საბჭოთა სომხეთის და საბჭოთა რუსეთის რკ. გზ. ტარიფებისაგან. ყოველგვარი მოსაზრებით საჭირო და აუცილებელი იყო ამ ხანად ტარიფების გაერთიანება. ასეც მოიქცა რკ. გზების სამმართველო: ერთი და იგივე ტარიფები იქმნა შემოღებული ყველა საბჭოთა რესპუბლიკების რკინისგზების ქსელზე. მხოლოდ მოჩვენებითი ხასიათი ქონდა ამ ტარიფს, სახელმწიფოს შემოსავალი სულ უმნიშვნელო იყო. რკინის გზები უმთავრესად სახელმწიფო დაწესებულებებს და უწყებებს ემსახურებოდნენ უმთავრესად: ჯარის გადაყვან-გადმოყვანა, სახელმწიფო ტვირთეულობის, სასურსათო და სხვა ეკონომიური კომისარიატების გადაზიდვა, დაბოლოს სამსახურის გამო მოვლინებულ თანამდებობის პირთა გადაყვანა, აი რას ემსახურებოდა უმთავრესად რკინის გზები. კერძო პირები სათვალავში არ იყვნენ მიღებული, რადგან მათი მოგზაურობა ხელშემშლელი იყო სამხედრო ხანაში ქვეყნის პროლეტარულ სახელმწიფოსთვის, და თუ ისინი მაინც, მოგზაურობდნენ, განსაკუთრებით კი წვრილი და მსხვილი სპეკულიანტები, „მეშოჩნიკები", სულ რამდენიმე მანეთს იხდიდნენ სახელმწიფოს სასარგებლოთ იმ უდიდეს მოგებიდან, რასაც მათ აძლევდა სპეკულიანტური „მოღვაწეობა".

ასეთი მოვლენა ბუნებრივი და აუცილებელი იყო რევოლიუციის სამხედრო პერიოდში მაგრამ როცა საბჭოთა რესპუბლიკების მდგომარეობა შესამჩნევათ შეიცვალა, როცა სამხედრო ხანა უკან დარჩა და უსისხლო, სამეურნეო ფრონტმა დაიკავა ადგილი სისხლიან, სამხედრო ფრონტის, როცა საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიური პოლიტიკა ახალ კალაპოტში ჩადგა, როცა თავისუფალი ვაჭრობა ნაწილობრივ ნებადართულია, როცა საბჭოთა რესპუბლიკები სავაჭრო დამოკიდებულებაში შედიან უცხოეთის სახელმწიფოებთან-უნდა შეიცვალოს პოლიტიკა ეკონომიური საქმიანობის დანარჩენ დარგებშიც. ახალ ხანაში გაძლიერებული და მიზანშეწონილი ხდება რკინის გზებით ტვირთეულობის გადაზიდვა ფულად და სარკინიგზო ტარიფების გადიდება ახალ პირობებთან შეფარდებით.

თუ წინეთ, ე. ი. სამხედრო კომუნიზმის ხანაში ოდნავ კი რაიმე საქონლის შოვნა ყოფილიყო შესაძლებელი და არავინ დაგიდევდათ მის ღირებულების გამოკვლევას, თუ მაშინ მარტო მოხმარება იყო მიზანი, დღეს შეუძლებელია მარტო მოხმარებით დაკმაყოფილება. წესიერი, და მით უფრო სოციალისტური წარმოება უნდა ემყარებოდეს წესიერ მოხმარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოება ვერ აღორძინდება, საწარმოო ძალები ვერ აყვავდება. სოციალისტური წარმოების საფუძველი კი-აღრიცხვა და შეფასებაა.

თუ პროლეტარული სახელმწიფოს გასავალი რამდენიმეთ მაინც არ არის შეფარდებული შემოსავალთან, თუ წინდაწინვე არ იცის სახელმწიფომ თუ დაახლოვებით რამდენი შემოსავალი ექნება მას, თუ მის ხაზინას არ უბრუნდება ნაწილი მაინც იმ ფულის ნიშნების, რომლებსაც ის უშვებს—სახელმწიფოს მეურნეობა ვერ მოღონიერდება. აი ამ შეხედულებით ხელმძღვანელობდა საბჭოთა რუსეთის მთავრობა, როცა მან შემოიღო ახალი სარკინისგზო ტარიფი. ამიერიდან რკინისგზები უფასოდ არ გადაზიდავენ მთავრობის ტვირთსაც კი. თუ კი საზღვარგარეთის ბაზარზე საბჭოთა რესპუბლიკა გამოდის თავისი საქონლით, მას სავსებით გათვალისწინებული უნდა ქონდეს თვით ღირებულება თავისი საქონლის. ამას გარდა ვაგონები უფრო მიზანშეწონილად იქნება გამოყენებული, რადგან სათანადო უწყებას გადახდება თუ დროზე არ დასცალა ვაგონები და უქმად გააჩერა სადგურებზე.

გადიდებული ტარიფი აუცილებელია იმიტომაც, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის მიხედვით სამეურნეო ასპარეზზე კვლავ გამოდიან წვრილი მწარმოებლები, წვრილი და სხვადასხვა კოოპერატივები, ქალაქის და სოფლის კერძო ვაჭრები, რომლებსაც საშუალება უნდა მიეცეთ საქონლის გადაზიდვა-გადმოზიდვის, მაგრამ, რასაკვირველია, ფასად, სახელმწიფოს ხარჯების ანაზღაურებით.

საქართველოს რკინისგზებზედაც შემოღებულ იქნა გადიდებული ტარიფი. 13 ამ თვიდან, წინეთ არსებული ტარიფი გადიდებულია ოცათასჯერ, რაც შეადგენს თითო მგზავრზე და თითო ვერსტზე 300 მანეთს, ტვირთეულობაზე კიდევ მეტათაა გადიდებული ტარიფი.

ეს უპირველესად მძიმეთ დააწვება მხოლოდ კერძო ვაჭრებს და უმიზნოთ მოხეტიალე უსაქმურებს, სახელმწიფოს კი გაუჩნდება მუდმივი, უტყუარი წყარო შემოსავლის. მუშების და მოსამსახურეების, საერთოდ მშრომელთა ინტერესები სავსებით დაცული იქნება. ვინც კანონიერ ან სამსახურის თუ მუშაობის გამო გადამგზავრდება რკინიგზით, შეღავათებში წავა, რკინის გზა მათ კი არ მოსთხოვს ანგარიშის გასწორებას, არამედ იმ დაწესებულებებს, სადაც შესულნი მუშაობენ და მსახურობენ. ასეთივე პირობებში იქნებიან ჩვენებური სხვა და სხვა ყრილობების დელეგატები, მოსწავლეები, ექსკურსიების მონაწილენი, აგრეთვე განთავისუფლებული იქნება წესები შეღავათიანი პირობების მგზავრთა ამა თუ იმ კატეგორიისათვის. რა თქმა უნდა, ასეთი შეღავათი მიეცემა არა ვაჭრებს, მრეწველებს და საერთოდ მოგების მომხვეჭელთ. ამათ შეძლება აქვთ და გადიდებულ ტარიფით მშრომელთა სახელმწიფოს დაუბრუნონ ნაწილი თავიანთი მოგების.

ამ რიგათ, ახალი სარკინისგზო ტარიფი ემსახურება სამეურნეო ცხოვრების გაჯანსაღებას და მშრომელთა სახელმწიფოს გამაგრებას.

საქართველოს სახალხო ბანკი

II

განახლებული სახალხო ბანკი აწარმოებდეს იქნება საკრედიტო დაწესებულებებისათვის დამახასიათებელ და რესპუბლიკის ფინანსიური საკრედიტო მოთხოვნილებებით გამოწვეულ ყველა ოპერაციებს. გამორიცხულია მხოლოდ საფონდო ოპერაცია, ე. ი. ფასიან ქაღალდების ოპერაცია, ვინაიდან სააქციონერო კომპანიების რუსეთში, აქ და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში ნაციონალიზაციის, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ სესხის ყოველი სახის გაუქმების შემდეგ,—ყველა საპროცენტო და სადივიდენდო ქაღალდებმა დაკარგეს თავისი ღირებულება და ამიტომ აწი არ შეიძლება იყვნენ საბანკო ოპერაციების ობიექტად. გარდა ამისა, დროებით ღიადაა დატოვებული საკითხი ბანკის საემისიო ოპერაციების შესახებ, რადგან ფულის რეფორმისათვის აუცილებელია მთელი რიგი წინასწარი პირობებისა. რესპუბლიკის ბიუჯეტის წონასწორობის მიღწევა, საგარეო ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობათა მოგვარება, ხელსაყრელი და მტკიცე სავაჭრო ბალანსი, ძვირფას ლითონების მარაგი და სხ. მხოლოდ ამ პირობების არსებობის დროს შეუძლია ბანკს განახორციელოს თავისი დანიშნულების ერთი ძირითადი ამოცანათაგანი — თავისი საემისიო უფლებით მტკიცე ვალიუტის შესაქმნელად და მისი გამძლეობის შესანარჩუნებლად.

ამჟამად, გარდა საფონდო ოპერაციების და საემისიო საქმის დროებით გადადებისა, სახალხო ბანკი აწარმოებს საკრედიტო დაწესებულებების ყველა ოპერაციებს დასავლეთის უფრო მტკიცე და მსხვილი საემისიო ბანკების წესებით და ფარგლებში. ამ ოპერაციებიდან მთავარია—თამასუქების აღრიცხვა, სესხა საქონლის გირაოს ქვეშ საწყობებში და გზაში, ან დამოუკიდებელ ოპერაციების, ანდა სპეციალურ ანგარიშების ფორმით; შემდეგ ბანკს ნებადართული აქვს აწარმოოს საკურსო ოპერაციები საზღვარ-გარეთულ ვალიუტის ყიდვა გაყიდვისათვის აქ და საზღვარ-გარედ, გარდა ამისა აწარმოოს ყოველგვარი საკომისიო მინდობილობანი, გადაგზავნოს ფულები, გასცეს აკრედიტივები როგორც რესპუბლიკის ფარგლებში, ისე საზღვარ-გარედაც.

ბანკის პასიურ ოპერაციებიდან მისაბარებლის მიღება და მიმდინარე ანგარიშების გახსნა განსაკუთრებით მკვიდრ ნიადაგზეა დაყენებული. უზრუნველყოფს რა კლიენტიურის მინაბარებს და საერთოდ ბანკის ყველა ვალდებულებათ რესპუბლიკის ქონებით, მთავრობა ანიჭებს პირებს, ფირმებს და დაწესებულებებს, რომელთაც შეაქვთ ბანკში ფული და იხსნიან მიმდინარე ანგარიშებს, ან და წარმოადგენენ განძეულობას შესანახად; განუსაზღვრელ უფლებას მონაბარების თავისი შეხედულებისამებრ, თავისუფლად გამოყენებისა. მინაბარებულის დაყადაღებას, სეკვესტრს, კონფისკაციას და სხვა სახის ხელის დადებას შეიძლება ადგილი ექნეს მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით და რესპუბლიკის კანონების თანახმად; ამით სრულებით უარყოფილია ბანკის საქმეში ადმინისტრატიული ან სხვა გვარი ჩარევის შესაძლებლობა. უკანასკნელი ოპერაციის პრაქტიკული შედეგები დიდია უწინარეს ყოვლისა თვით მიმბარებელთათვის, რომელნიც ამ გვარად განთავისუფლებული იქნებიან სიძნელისა და რისკისაგან თავისთან იქონიონ დასტობით ფულის ნიშნები, შეიტანენ რა ასეთებს ბანკში, მიიღებენ პროცენტებს, საჩეკო ტრიალი კი სასარგებლოდ შეამსუბუქებს მათ ერთიმანეთთან ანგარიშის გასწორებას და გაანელებს ფულის ნიშნების ხშირად შენიშნულ ნაკლებობას.

თავის მოღვაწეობის სფეროში სახალხო ბანკი სარგებლობს საჭირო დამოუკიდებლობით და ავტონომიით და იმუშავებს თავისი წესდების მიხედვით, ხოლო თავის მოქმედებისათვის პასუხს აგებს რესპუბლიკის მხოლოდ უმაღლესი ხელისუფლების წინაშე.

ბანკის მმართველობის უმაღლესი ორგანო—საბჭო, რომელიც მიმართულებას აძლევს და კონტროლს უკეთებს ბანკის და მისი სხვა ორგანოების მოღვაწეობას, ირჩევა თავის უმეტეს ნაწილში მთავრობის მიერ უფრო დაინტერესებულ სახალხო კომისარიატების წარმომადგენლებისაგან—ფინანსების, საგარეო ვაჭრობის, სასურსათო და მიწადმოქმედების, აგრეთვე სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსი და მუშურ გლეხურ ინსპექციისა, რესპუბლიკის პროფესიულ კავშირთა საბჭო და კოოპერატიული ორგანიზაციები გზავნიან საბჭოში თითოთითო წარმომადგენელს, ხოლო ერთი ადგილი მიკუთვნებული აქვს ადგილობრივი ვაჭრობის და მრეწველობის დელეგატს. საბჭოს ასეთი კონსტრუქციით მიღწეულია მჭიდრო ურთიერთი კავშირი სახალხო ბანკსა და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის და სახალხო მეურნეობის ყველა ორგანოებს შორის.

მეორე არა ნაკლებ მნიშვნელოვანი ორგანო ბანკის მმართველობისა გამგეობა—ირჩევა საბჭოსაგან და მტკიცდება მთავრობის მიერ. ბანკის წესდება, გამიჯნავს რა საბჭოს და გამგეობის კომპეტენციას, ამასთან ერთად იძლევა მკვიდრ ნიადაგს მათი სოლიდარული მუშაობისათვის; ამასთან ისინი მოკლებული არიან შესაძლებლობას, დაკავებულ თანამდებობიდან პირადი, თუ გინდ სრულიად ლეგალური მოგება მიიღონ: საბჭოს და გამგეობის ყველა წევრებს აღარ ვლაპარაკობთ მათ თანამშრომლებზე,—არ შეუძლია ბანკში კრედიტით ისარგებლონ, რა ფორმითაც არ უნდა იყოს იგი.

დაჩქარებითი გახსნა საქართველოს სახალხო ბანკის მოქმედებისა, რომელიც (ბანკი) დღეს პირველია ყველა საბჭოთა რესპუბლიკებში, წარმოადგენს მორიგ და საჩქარო საკითხს ფინანსების სახალხო კომისარიატისათვის და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მისი ცენტრალური თბილისის დაწესებულების კარები გაიხსნება ახლომავალ კვირაში. არა ნაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია სასწრაფო გახსნა ბანკის განყოფილებებისა.

ბათომის მომავალი მსხვილი განყოფილება შეასრულებს განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკების გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის ფინანსიურად უზრუნველყოფის საქმეში. ქუთაისის მომავალი განყოფილება ხელს შეუწყობს დასავლეთ საქართველოს მდიდარი ცენტრის ფინანსიურ-ეკონომიურ განვითარებას და წარმატებას. განყოფილებების შემდეგომ მოწყობილი იქნება ბანკის სააგენტოთა ქსელი უმთავრესად საკრედიტო და საბანკო ოპერაციების მოსახდენად. შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ურთიერთი საკორესპონდენტო დამოკიდებულების მოწყობას დასავლეთის საკრედიტო დაწესებულებებთან, რაც ნაკარნახევია უწინარეს ყოვლისა ჩვენი საგარეო ვაჭრობის ინტერესებით.

ამ გვარად მზადდება ნიადაგი სახალხო ბანკის და მისი ადგილობრივი დაწესებულებათა ნაყოფიერი მუშაობისთვის; შემდგომი ასეთი განმტკიცება და განვითარება დამოკიდებულია როგორც მისი პასუხისმგებელ ხელმძღვანელების მოღვაწეობაზე ისე და უმთავრესად იმ დახმარების და ნდობისაგან რომელსაც გამოიჩენენ რესპუბლიკის მოსახლეობის ფართო წრეები.

იჯ.

მენშევიკები საქართველოში

(ამხ. ფ. მახარაძის წიგნის გამო)

მენშევიკების ფარფაში საქართველოში, რომელიც დასრულდა ქართული მენშევიზმის გამოჩენილ წარმომადგენლების საზღვარ გარეთ უსირცხვილო გაქცევით, წარმოადგენს მეტად საინტერესო ფურცელს უკანასკნელ დროის რევოლიუციონურ მოძრაობის განვითარების ისტორიაში. მენშევიკებმა საქართველოში ისეთ წარმოუდგენელ თვალსაჩინოთ გამოამჟღავნეს მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის წინაშე სრული შეუძლობა ოპორტუნიზმისა, სოციალ-შოვინიზმისა, კლასთა „თანამშრომლობის იდილიისა", „სოციალისტური" ხელისუფლების მიერ ჩამოყალიბებულ მშვიდ კაპიტალიზმის დანერგვის იდეის, რომლებსაც ქადაგებენ მენშევიკები, ერთი სიტყვით, მათ მიერ დანერგულ „წმინდა დემოკრატიის" სამოთხისა, რომ საკმარისია მხოლოთ ჩაუკვირდე ამ მაღალ პრინციპების პრაქტიკას, რომლებიც მოქარგულია გარეგნულად და მოხერხებულათ გადანასკულ და ღრმათ გამცემლურია თავისი შინაარსის მიხედვით, რომ არ დარჩება არავითარი ეჭვი იმაში, რომ ეს წარმოუდგენელი სიცრუე და პროვოკაცია, დაბნევა და გამცემლობა, რომელთა მსხვერპლათაც ხდება მუშათა კლასი.

მენშევიკების აუცილებელ საპირო დაფასებას ერთ ცდას წარმოადგენს ამხ. ფილიპე მახარაძის წიგნი: „მენშევიკურ პარტიის დიქტატურა საქართველოში", რომელიც დაწერილია ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში, და რომელზედაც აუცილებელია შეჩერება. ავტორი დაუზოგველათ ფარდას ხდის მთელს სიმახინჯეს ოპორტუნიზმის ამ დამახასიათებელ დიქტატურისას, პარტიის დიქტატურისას, საქართველოს დამფუძნებელი კრების სასაცილო ფარსს.

როგორი ხელისუფლება მოაწყვეს მენშევიკებმა საქართველოში, როგორი სახელმწიფო შექმნეს მათ? ჟ. ჟორდანიას არა ერთხელ უთქვამს ამის შესახებ: „თქვენ ფიქრობთ, რომ რაკი მთავრობა სოციალისტურია, მან უნდა განახორციელოს სოციალიზმი? ეს ბოლშევიკების შეხედულებაა! მაგრამ, როგორ შევათავსოთ ჩვენი სოციალდემოკრატიული შეგნება ბურჟუაზიულ დიქტატურების შექმნაზე მუშაობასთან? ამხ. ფ. მახარაძე ფარდას ხდის ჟ. ჟორდანიას ამ სოფისტიკას და გარკვევით მიუთითებს იმაზე, თუ როგორი მნიშვნელობა აქვს ამ „შეგნებას", როდესაც ბურჟუაზიისა და მემამულეების ეკონომიურ ბატონობის დროს პოლიტიკური ხელისუფლების ფუნქცია „სოციალისტების" ხელშია. „ჩვენ ხელთ გვაქვს რა ეს ძალა საქართველოში სოციალური რევოლიუცია შეიძლება ვიქონიოთ სახეში მხოლოთ როგორც მიზანი, როგორც ისტორიული პერსპექტივა, და არა როგორც პირდაპირი პრაქტიკული ამოცანა. სწორეთ ამ პერსპექტივით განვირჩევით ჩვენ ყველა ბურჟუაზიულ პარტიებისაგან!" კარგი რეკომენდაციაა, მეტი რომ არა ვთქვათ მოკვდი ჟორდანია, უკეთესს [illegible] არ იტყვი! გამოდის ისე, რომ მენშევიკები და ბურჟუაზია თანამშრომლობენ რა ერთად და აკეთებენ რა ერთ და იმავე საქმეს ერთი და იგივე მეთოდებით, ხატულობენ მხოლოთ სხვა და სხვა სიზმრებს, პირველნი სოციალისტური სამოთხის „პერსპექტივას", ხოლო მეორენი ოქროთი და ძვირფასეულობით გატენილ უზარმაზარ სეიფებს.

ამხ. ფ. მახარაძე, მოიყვანს რა ძვირფასი დოკუმენტები მენშევიკების მოღვაწეობიდან ცალკე დარგებში, აძლევს მოხერხებულათ გადანასკულ მახინაციებს საკმარისს დაფასებას მიწის, მუშათა, ნაციონალურ, საეკლესიო, სამოსამართლო, სასკოლო და სხვ. საკითხების გადაჭრაში დაბოლოს მოყვანილია მენშევიკური „ოპრიჩნინის" სახალხო გვარდიის დახასიათება, როგორც იარაღისა ბურჟუაზიის ხელში საქართველოს მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ საბრძოლველათ.

საჭიროა კომინტერნის აღმასკომმა ან საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა გადათარგმნინოს ამხ. მახარაძის ეს წიგნი ყველა უმთავრესს ევროპიულ ენებზე, ვინაიდან ის ყველაზე უფრო სწორეთ ხატავს მენშევიკების დიქტატურის სახეს.

საქართველოს საელჩოსთან არსებული ლიტერატურული განყოფილება.

„იზვესტია" № 121.

წითელ რესპუბლიკებში.

საქართველო

ბათომის ოლქში საქონლის გადაცვლა გაძლიერდა მასალის მარაგის გამო, მიუხედავათ საქონლის კრიზისისა ოსმალეთში, რომელიც გამოწვეულია სამხედრო მოქმედებით, ოსმალეთის პატარა ნავების შემწეობით გაცხოველებული შესყიდვა სწარმოებს. გაიზარდა მოთხოვნილობა ნავზე.

— გენიჩესკიდან და ყუბანიდან დაბრუნდნენ ჩვენი აგენტები, რომლებმაც მარჯვეთ გადასცვალეს ჩაი, ნავთი, სოდა ფქვილზე, ზეთზე და ქონეულობაზე. გადასაცვლელათ გაიგზავნა დიდი პარტია ლეღვისა.

— ახალციხის მაზრაში 80.000 ფ. მარილი გადაგზავნეს გადასაცვლელათ კარტოფილზე, რძის ნაწარმოებზე და ფურუჯზე. საქონლის უფრო გაცხოველებულ გადაცვლას მოელიან მუშათა კოოპერატივებიდან.

— აზრად აქვთ საბჭოთა სასადილოებში გაუფასონ საჭმელი.

— საზოგადო კვების ბოსტნეულობის გაშენების ცდამ ბრწყინვალე შედეგი მისცა და მომავალ წელში ბოსტნების სივრცე 10 დესეტინამდე აიწევს. ძლიერ შეუშალა ხელი ფულის უქონლობამ, მაგრამ საერთოდ შესაძლებელი გახდა კრიზისიდან თავის დაღწევა, რის მაჩვენებელიც პურის ულუფის ერთ გირვანქამდე გადიდება ფიზიკურად მომუშავეთათვის.

— აგვისტოს 10 ბათომის ნავთსადგურში 5 მატორიანი ფელუკიანი გემი მოვიდა დატვირთული შეშით მარილით და თევზით. გავიდა 5 გემი. ნაწილი დაუტვირთელი, ნაწილი ხილით და ტყავეულით.

წალკის რაიონში. ყველა სოფელში დანიშნულია კომისრები, უმეტესი ნაწილი პარტიული მომუშავეა. მცხოვრებთა საჭიროების გამოსარკვევად 7 აგვისტოს იყო მოწვეული ბორჩალოს გლეხთა ყრილობა, რომელზედაც გამოცხადდა 700 დელეგატი. მომხსენებლად თითქმის ყველა საკითხებზე გამოვიდა ამხ. მგელაძე. მიწის საკითხმა გამოიწვია ცხოველი კამათი, რადგანაც ბერძნების საზამთრო რეჟიმის ჩვენებით მცხოვრებლები შეუდგნენ მიწის სულზე გაყოფას. მიწის საკითხის მოსაგვარებლათ დაინიშნა სპეციალური კომისია, იმ პირთაგან, რომელნიც ამ საქმეში არ არიან დაინტერესებულნი, ყრილობამ მიიღო დადგენილებები, რათა იქნეს შეკეთებული ყაზარმები. რაიონის ხალხი ჯარს საბჭოთა დაწესებულებისათვის და აგრეთვე შეაკეთონ გზები მანქანისა მშვიდად სვლის სათბობი მასალის საკითხი, მიღებულია ყველა ზომები შიშის დასამშვიდებლად, თუნდაც იძულებითი სამუშაოთი. კერძო მოსავალი და სიძვირის სიუხვე. ეხლანდელ გვალვის გამო რაიონს ხდის ყურადღებია ცეცხლით. უმეტესი ნაწილი მცხოვრებლებისა. მისდევს მესაქონლეობას და მეფუტკრეობას.

რუსეთი

პროფმოძრაობის უმაღლესი სკოლა.

მოსკოვი, 17 აგვისტო (რადიო). აწყობენ პროფმოძრაობის უმაღლეს სკოლას. სკოლა განზრახულია იყოს 7 თვიანი.

პროფკავშირთა კულტურულ მუშაკების კონფერენცია.

მოსკოვი, 17 აგვისტო (რადიო). 25 სექტემბრისათვის მოსკოვში იწვევენ საგუბერნიო პროფსაბჭოთა კულტურულ განყოფილებათა წარმომადგენლების სრულიად რუსეთის კონფერენციას. ეს კონფერენცია იქნება პირველი რუსეთის პროფმოძრაობის ისტორიაში. დღის წესრიგში სდგანან, საერთაშორისო, შემდეგი საკითხე-

კომინტერნის მესამე კონგრესი

სხდომა მერვე (28 ივნისი).

სხდომა იხსნება საღამოის 7 საათზე **თავმჯდომარე ამხ კოლაროვი** აცხადებს, რომ გენერალური დებატები აღმასკომის ანგარიშის შესახებ დასრულდა, დარჩა ორი საკითხი—იტალიისა და გერმანიის. იტალიის სოციალისტური პარტიის განცხადების გამო, რომ ისინი ჯერ კიდევ არ მომზადებულან, და მათი თხოვნის გამო მისცენ მათ სიტყვა მოგვიანოთ, პრეზიდიუმმა დაადგინა მისცეს უწინ სიტყვა გ. კ. მ. პ. წარმომადგენელს და მიეცეს მათ და აღმასკომის წარმომადგენლებს ნახევარ-ნახევარი საათი. გაერთიანებული კომ. პარტიის წარმომადგენელი უარს ამბობს თავის სიტყვაზე აღმასკომის სასარგებლოთ;

ამხ. ზინოვიევს შემოაქვს შემდეგი წინადადება: მიეცეს გ. კ. მ. პ. ვადა 3 თვე პარტიულ-ტაქტიკის მოსაწყვეტად და საკითხის გადასაჭრელად, ემორჩილება თუ არა ის მე-3 ინტერნაციონალის დისციპლინას. დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში გ. კ. მ. პ. ერთიანდება გაერთ. კომ. პარტიასთან, წინააღმდეგ შემთხვევაში კონგრესი აძლევს აღმასკომს ჩაითვალოს ის გარიცხულათ კომინტერნის შემადგენლობიდან.

თავმჯდომარე ამხ. კოლაროვი აცხადებს, რომ შემოვიდა განცხადება გერ. გაერთ. კომ. პარტიიდან, რომ ის უერთდება ამხ. ზინოვიევის წინადადებას.

ამხ. ჰემპელი (გ. კ. მ. პ.) ჩვენ ვფიქრობდით, რომ გვექნებოდა შეძლება გამოგვეთქვა ჩვენი აზრი ყველა პრინციპიალურ საკითხებზე, მაგრამ პრეზიდიუმი შეუთანხმდა ამ კითხვის შესახებ იტალიელებს, და საქმეროთ არ დაინიშნა მოლაპარაკებოდა გ. კ. მ. პ. იმის შესახებ კი, რომ ჩვენ ამ კითხვის შესახებ მოგვეცა მხოლოთ 30 წუთი, გავიგეთ თვით სხდომის გახსნის წინ. ნახევარი საათის განმავლობაში არაფრით გზით არ შეიძლება გამოხატო თავისი პრინციპიალური პოზიცია. ჩვენ გვჭირია ამისთვის არა ნაკლებ ერთი საათი, და, რასაკვირველია, საბოლოო სიტყვა. დროის გაგრძელების უარის შემთხვევაში ჩვენ გვიხდება ჩვენთვის ლაგამის ამოდებისა სურვილი.

ამხ. რადეკი კამათის წესრიგისათვის აცხადებს, რომ 5 წუთით კი არა, არამედ 5 საათით ადრე სხდომამდე ეცნობა გ. კ. მ. პ. დელეგაციას პრეზიდიუმის გადაწყვეტილება ნახევარი საათის დროის მიცემის შესახებ. ეს ნახევარი საათი არაა არსებითი თავის თავად. დღეს არ წყდება საკითხი მონაწილეობის მიღების შესახებ კონგრესზე, რომელზედაც მათ კიდევ ექნებათ შეძლება გამოთქვან თავიანთი აზრი თითეულ ცალკე საკითხის შესახებ. ხოლო თუ ისინი რაიმე მიზეზით არ მოისურვებენ კონგრესზე დასწრებას, მაშინ მათ შეხედულებების გასაცნობათ ჩვენ გვაქვს მათ წიგნები და ჰოლანდიის სკოლის გამოცემანი.

გ. კ. მ. პ. წარმომადგენელი აცხადებს, რომ ლაპარაკია პარტიის სასიცოცხლო საკითხზე და დაჟინებით ითხოვს მთელი საათის აუცილებელ საჭიროებას, და საბოლოო სიტყვას.

ამხ. ზინოვიევი მოაგონებს, რომ ლაპარაკი ამ პარტიის შესახებ იქნება კიდევ წინ საკითხზე პროფკავშირებისა და ტაქტიკის შესახებ; ამ საათში ლაპარაკია მხოლოთ ერთ საკითხზე, რომელიც ეხება გ. კ. მ. პ. ესაა დისციპლინის, ცალკე პარტიის მიკუთვნების შესახებ დაემორჩილოს ინტერნაციონალს. და შეუძლია თუ არა მესამე ინტერნაციონალს ყავდეს თავის რიგებში ისეთი პარტია, რომელიც არ ემორჩილება კონგრესის დადგენილებას, რომელიც ხელშეუხებლად აცხადებს თავის პროგრამას, და ნუ თუ გაუგონარი საქმე არაა, რომ ასეთი პარტია აყენებდეს ულტიმატუმებს. გუშინ, დილას დასმული იყო საკითხი იტალიისა და გერმანიის საკითხების ერთად გარჩევის შესახებ. იტალიელები მაშინვე დათანხმდნენ, გ. კ. მ. პარტიაც აგრეთვე, კონგრესმა ამ სახით გამოიტანა თავისი დადგენილება ერთხმათ. შეიძლება მივცეთ აღმასკომს პირველი სიტყვა, ხოლო გ. კ. მ. პ. კი—უკანასკნელი. ამ გვარად კონგრესს გადაწყვეტილი აქვს საკითხი ამ მხრივ. თუ ამხანაგები გ. კ. მ. პარტიიდან არ ისარგებლებენ თავისი სიტყვით, ისინი მოიქცევიან ისევე, როგორც ოტო რიულემ 1920 წ. მართალია, შეიძლება უფრო ნაკლები მკაცრი ფორმით.

თავმჯ. ამხ. კოლაროვი აცხადებს კამათს ამოწურულად. პრეზიდიუმის წინადადებას იღებენ.

ამხ. რადეკი. გ. კ. მ. პ. აღმასკომის წინადადებით უნდა გადაწყვიტოს 2—3 თვის განმავლობაში საკითხი მესამე ინტერნაციონალში დარჩენისა გერმ. გაერთ. კომ. პარტიასთან შეერთების შესაძლებლობის შესახებ. გ. კ. მ. პარტიასა და მესამე ინტერნაციონალს შორის არსებობდნენ უთანხმოებანი თვით დაწყებიდანვე სწორეთ ისევე, როგორიცაა ახლაც. ის იდეა არაა მასიური პარტიების დაარსების, არამედ წვრილი სექტანტური ჯგუფების. პროფკავშირების საკითხის შესახებ ის ცდილობს თავისი გავლენის გაფართოებას კი არა მათში შიგნით, არამედ ქადაგებს პროფკავშირების რასკოლს და თავის წვრილ ცალკე ორგანიზაციების დაარსებას. უკვე დიდი ხანია აზრთა სხვადასხვაობაა გ. კ. მ. პ. და მესამე ინტერნაციონალს შორის, მაგრამ კომინტერნი ეძებდა გზას ხიდის გასადებათ მასსა და მის შორის. აღმასკომმა მე-2 კონგრესზე ყველაფერი ქნა, რაც კი შესაძლებელია, რომ გ. კ. მ. პ. წარმომადგენლები კარგათ გაეცნობოდნენ ჩვენს შეხედულებებს და უნდა ითქვას მიეცით მათთვის გადამწყვეტი ხმა, თუმცა ის არ უერთდება მას დადგენილებებს. მეორე კონგრესის შემდეგ მოხდა მასში ერთგვარი გამორკვევა მარცხენა გადახრა; გ. კ. მ. პ. გამოეყო ნაციონალისტურ-ბოლშევიკურ ფრთას, რომელსაც სათავეში უდგა ვოლფჰეიმი და ლაუფენბერგი, და აგრეთვე რომელსაც. მე-3 კონგრესზე ჩვენ გვინდოდა ერთხელ კიდევ გვეცადა გაგვეკვლია გზა ჩვენსკენ გ. კ. მ. პ. გზაბნეულ მუშებისათვის და გადავწყვიტეთ მივეღო ეს პარტია კომინტერნის თანამგრძნობ წევრათ. ეს მოვიმოქმედეთ ჩვენ გერ. გაერ. კომ. პარ. წინააღმდეგაც კი.

აღმასკომი კიდევ და კიდევ ცდილობდა მოლაპარაკებოდა გ. კ. მ. პ.; ის აშკარათ ამბობდა რომ აუცილებელი საჭიროა ან შეერთება ან გაერთიანება გერ. გაერ. კომ. პარ., ან და კომინტერნის გარეშე დგომა, ვინაიდან არ შეიძლება არსებობდეს ერთ ქვეყანაში კომინტერნის ორი სექცია. აღმასკომი სავალდებულოთ უხდიდა გ. კ. მ. პ. გამოენახა ძმური შეთანხმების გზა გ. გ. კ. პ. გასულ ნახევარი წლის განმავლობაში გ. კ. მ. პ. წავიდა არა სექტანტობიდან მასიური პარტიების პრინციპებისაკენ, არამედ, პირიქით, დადგა კიდევ უფრო აშკარა სექტანტობის გზაზე ცოტათი წმინდა ავანტიურიზმის შერევით.

ამხ. რადეკს მოყავს ციტატები გორტერის ბროშიურიდან, სადაც ლაპარაკია, რომ რუსების ტაქტიკის წარმოება საზღვარ-გარეთაც დანაშაული იქნება რევოლიუციის წინაშეო. ბროშურაში: „ლენინი და გ. კ. მ. პ. ტაქტიკა", მტკიცდება, რომ მარტის ამბოხებამ ვითომ დაგვანახვა, რომ მასიური პარტია არ არსებობს, ან უფრო სწორეთ, არ შეიძლება არსებობდეს მასიური კომპარტია.

საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებში გ. კ. მ. პ. დაგორდა მენშევიკებისაკენ; ლაპარაკი გერმანიის მუშების გამოსვლების შესახებ, როგორც საბჭოთა რუსეთის საგარეო პოლიტიკის იარაღის შესახებ არაფრით არ განირჩევა ბურჟუაზიულ ცილის წამებისაგან. საკითხზე კრონშტადტის შესახებ გორტერი სწერს: „მას შემდეგ, როცა კრონშტადტის პროლეტარიატი აჯანყდა თქვენს, კომპარტიის წინააღმდეგ" და სხვ.; აშკარაა, რომ ამ პარტიის განვითარება არის განვითარება მისი ბელადების კლიკების. უნდა ნათლად დავაყენოთ საკითხი გ. კ. მ. პ. მუშების წინაშე, ვისთან წავიდნენ ისინი: ან ერთი მუჭა გონება დაკარგულ ბელადებთან, ან კომინტერნთან. უკანასკნელ ხანებში გ. კ. მ. პ. დაკარგა პასუხის მგებლობის გრძნობა, და დავიდა იმ ინდივიდუალურ ტერორი, უთავრუსოთ არალეგალურ მუშაობის და სხვ. ქადაგებამდე და პრინციპში აყენებენ, რომლებსაც არაფერი საერთო არ აქვს კომუნიზმთან. ამხ. რადეკი ითხოვს მიღებულ იქნეს პრეზიდიუმის გადაწყვეტილება ერთხმათ. გ. გ. კ. პ. მიუხედავათ ყველა შეცდომებისა, დაგვანახვა, რომ ის მოიწოდის ბრძოლისაკენ; გ. გ. კ. პ. შეძლება მისცა უმუშევართა ფართო მასებს მიიყოლიოს მასთან. ჰამბურგში არჩევნებში უმუშევართა შორის გ. გ. კ. პ. თავისი სწორი პოლიტიკის მეოხებით მიიღო უფრო მეტი ხმა, ვიდრე დამოუკიდებლებმა და შეიდემანელებმა ერთად. დღეს ჩვენ მოვითხოვთ იტალიის პარტიისგან დაემორჩილოს დისციპლინას,—ამბობს ამხ. რადეკი,—კომინტერნის დირექტივებს. ასეთივე მოთხოვნებს ვუყენებთ ჩვენ გ. კ. მ. პ. როგორც ჰოლანდიის სკოლასაც და ვსვამთ კითხვას, ვისთან სურთ მათ სიარული: საერთაშორისო პროლეტარიატის მილიონიან არმიასთან კომინტერნის რიგებში თუ არა.

— ჩვენ,—ამბობს ამხ. რადეკი,—მივმართავთ ძმური სალამით პროლეტარებს გ. კ. მ. პარტიიდან, რათა მათ გადაჭრან საკითხი, წავლენ თუ არა ისინი საერთაშორისო პროლეტარიატის ოჯახში და დაემორჩილებიან თუ არა დისციპლინას.

ამხ. როლანდ ჰოლსტი (ჰოლანდია) ჰოლანდიის დელეგაციის უმცირესობის სახელით აკეთებს შემდეგ განცხადებას. ის უყურებს პრეზიდიუმის უარს გ. კ. მ. პ. ერთი საათის მიცემის შესახებ, როგორც პირდაპირ ძალადობას გ. კ. მ. პ. და აცხადებს პროტესტს უმცირესობის სახელით.

შეუძლებელია პრინციპიალურ უთანხმოებათა საკითხის გამოთიშვა ტაქტიკურისაგან. კლარა ცეტკინს მიეცა უფლება ელაპარაკა და განევითარებინა თავისი თვალსაზრისი დროის შეუზღუდველათ. როლანდ ჰოლსტი დარწმუნებულია, რომ იტალიელებსაც არ გაუსაზღვრავენ დროს, და ამბობს, რომ არ შეიძლება საკითხის შეზღუდვა ფორმალური ფარგლებით.

ერთმა ჩვენმა ბელადთაგანმა განაცხადა, რომ საფრთხე მარცხნიდან არა ნაკლებია, ვიდრე მარჯვნიდან. ჩვენ კი ვაცხადებთ, რომ საფრთხე მარჯვნიდან გაცილებით მეტია. ჩვენ ვთვლით, რომ მემარცხენე ოპოზიცია ჯერ კიდევ არაა, რომ უნდა მივცეთ შეძლება მემარცხენეებს და უკიდურეს მემარცხენე ელემენტებს განვითარდნენ. მაგრამ თუ თავს დაესხმებიან უკიდურეს მემარცხენეებს (ხოლო ეხლა დასაწყისი უკვე არის), ამით ჩაახშობენ მის განვითარებასაც. გ. კ. მ. პ. შემადგენლობაში არიან ელემენტები, რომლებიც დემაგოგიურ-ცალმხრივათ მარტო ვერ ჩვენ საქმეს და საბოლოო მიზანს; მაგრამ იმ რევოლიუციონურ ელემენტებისადმი ნდობის გულისათვის, რომლებიც ამ პარტიაში არიან, ვთხოვ კონგრესს დიდი ყურადღებით მოეპყრას საქმეს და არ შეუშალოს ხელი იმას, რომ ეს იდეალისტები რევოლიუციონურ ტემპერამენტით არ დარჩნენ კომინტერნის გარეშე, რადგანაც მათი სექტანტური ხასიათი კიდევ უფრო განვითარდება და გამწვავდება.

ამხ. რ. ჰოლსტი, დასასრულ, არ ცნობს რა სწორათ კონგრესის გადაწყვეტილებას მაინც თხოულობს ამხანაგებს გ. კ. მ. პარტიიდან და სძლიონ თავიანთი თავი და განაგრძონ მონაწილეობის მიღება კონგრესზე, რათა ამ გვარათ მოახდინონ გავლენა კონგრესის აზრზე.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ კამათი ამოწურულია. ამხ. ზინოვიევის წინადადება აღმასკომის ანგარიშის შესახებ საერთო რეზოლიუციის ერთი მუხლის სახით დასმულ იქნება კონკრეტულ რეზოლიუციასთან ერთად.

(შემდეგი იქნება)

საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიური პოლიტიკა

(დასასრული, იხ. გაზ. „კომ." № 137)

საბჭოთა ხელისუფლება არა თუ მარტო აძლევს მიწადმოქმედ გლეხს სრულ თავისუფლებას წარმოების მოწყობისა და თავის ნაწარმოების მოხმარების საქმეში, იგი მთელი თავისი შეძლებით ეხმარება მიწათმოქმედებს: საერთო სამეურნეო გეგმა, რომელიც ანსხვავებს საბჭოთა ხელისუფლებას ყველა სხვა ხელისუფლებისგან, ეხება არა თუ მარტო მრეწველობას, არამედ მიწადმოქმედებასაც იგი ვარაუდობს საწარმოო შესაძლებლობას და მოთხოვნილებას არა მარტო ქალაქისას, არამედ სოფლისასაც. კერძოთ, მიწადმოქმედების დახმარება სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით, ღონისძიებანი მელიორაციისა და ელექტრიფიკაციის საქმეში, აგრეთვე კოლექტიურ მეურნეობის წახალისება და სხვა წარმოადგენენ კონკრეტულ მაგალითებს საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის გატარებისას მიწადმოქმედების დარგში.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების სამეურნეო მოქმედების ცენტრს წარმოადგენს ქალაქის მრეწველობა. აქ მას შეუძლიან შესაჩნევ ნაწილში გახდეს სრული პატრონათ და დაამყაროს თავის პოლიტიკურ ძლიერების მაგარი ეკონომიური ბაზა. მაგრამ აქაც არის დარგი, რომელიც მოითხოვს სხვანაირ მოპყრობას: ესაა—წვრილი მრეწველობის დარგი. ნორმალურ პირობებში, მსხვილ მეურნეობის წარმოებით განვითარების დროს, საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლიან სრულიად გულგრილად უცქიროს წვრილ მრეწველობას და მიატოვოს იგი თავის ბედის ანაბარად. მაგრამ ეხლანდელ სამეურნეო ნგრევის გამო წვრილი მრეწველობა იძენს განსაკუთრებულ ინტერესს. რადგან მსხვილი მეურნეობის მოწყობა ძნელია ამიტომ წვრილი შინამრეწველობასაც შეუძლიან რამდენიმე სარგებლობა მოიტანოს მეტათ მნიშვნელოვან მოთხოვნილებათა ნაწილობრივ დაკმაყოფილების საქმეში. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლება არა თუ ხელს არ უშლის წვრილ მრეწველობას, პირიქით ეხმარება მას, ზოგიერთ შემთხვევაში ნედლ მასალასაც კი აწვდის მას. აქაც, როგორც სხვა დარგებშიაც, საბჭოთა ხელისუფლება აფანტულ წვრილ მრეწველობას, რომელიც ძნელად ემორჩილება აღრიცხვასა და კონტროლს, აიძულებს მის გაერთიანებულ ფორმას, რომელიც არტელებისა და კოოპერატიულ გაერთიანებათა სახით.

მსხვილი მეურნეობა კი, საზოგადოთ წესისამებრ, უნდა გადავიდეს სახელმწიფოს ხელში. მაგრამ ეს დებულება საჭიროებს არსებით განმარტებას. ყველა მსხვილი მეურნეობის მოხმარება როდი შეუძლიან საბჭოთა ხელისუფლებას. არის მთელი რიგი წარმოებისა, რომელიც საჭირო არაა და მხოლოდ კი პროლეტარიატის ინტერესების თვალსაზრისით. ეხლავე სასურსათო კრიზისის დროს ისეთი წარმოებანი, როგორიცაა, მაგალითად, დუქნის დიდი ქარხნები, წარმოადგენენ მხოლოთ ფუფუნების ღირებულებას, რამდენათაც მათი მუშაობა ფუფუნების საგნის მომზადების დროს იწვევს სურსათის შესამჩნევ რაოდენობის ხარჯვას. ამას გარდა, გეგმიანი მეურნეობა არ უშვებს არსებულ წარმოებათა უბრალო არითმეტიკულ გაერთიანებას, იგი მოითხოვს მათ სასტიკ შერჩევას და მათგან უფრო სიცოცხლით სავსე და ძვირფას წარმოებათა გამორჩევას, რომლებმაც უნდა განსაკუთრებული საგანი უნდა შეადგინონ სახელმწიფოს ყურადღებისა და ზრუნვისა. მხოლოდ ის წარმოებანი, რომელნიც წარმოადგენენ სახელმწიფო ღირებულებას, გადადიან სახელმწიფოს ხელში და წარმოადგენენ მის სამეურნეო მოქმედების უმთავრეს ბაზისს.

ამასთან ის წარმოებანი, რომლებიც თუმცა მნიშვნელოვანნი არიან სახელმწიფოს თვალსაზრისით, მაგრამ წარმოადგენენ მხოლოდ პოტენციალურ ძალას, აუცილებლად როდი უნდა წარმოადგენდნენ სახელმწიფო მონოპოლიას. რამდენათაც ისინი საჭიროებენ დიდძალ წინასწარ საშუალებას, რომელიც სახელმწიფოს არა აქვს, იმდენათ ისინი შეიძლება განსაზღვრულ პირობებით მიეცეს იჯარით ან კონცესიით როგორც უცხოელ ისე ადგილობრივ კაპიტალისტებს; აქაც უპირატესობა უნდა მიეცეს მშრომელთა გაერთიანებულ ჯგუფებს და კოოპერატივებს.

კონცესიები-ხელშეკრულებები, რომელნიც ფართო ასპარეზს აძლევენ კაპიტალისტურ ინიციატივას, უცილობლათ წარმოადგენენ დათმობას სასარგებლოთ კაპიტალისტურ წრეებისას, რომელნიც სოლივით ეჭრებიან საბჭოთა სამეურნეო აღმშენებლობის საერთო სისტემაში. მაგრამ მათ დაშვებას გვკარნახობს მხოლოთ ინტერესები პროლეტარიატისა, რომელსაც შეუძლიან მიიღოს კერძო კაპიტალისტურ მეურნეობისაგან ის საჭირო საგნები, რომლებიც მას აკლია. ამ კონცესიების მავნე გავლენა შეიძლება შესამჩნევათ შემცირდეს, თუ გავატარებთ იმ პრინციპს, რომლის თანახმათ ყველა კონცესიონერისა და იჯარადარისთვის სავალდებულო იქნება საბჭოთა აღმშენებლობის ყოველი დებულება შრომის დაცვის შესახებ,—შრომა ხომ უმნიშვნელოვანესი ფაქტორია წარმოებისა.

ამ ფაქტორის ინტერესების დაცვა, მისი განვითარება და კეთილდღეობა შეადგენს ბოლოს და ბოლოს საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიურ პოლიტიკის მთელ შინაარსს.

მ. ტ.

სასურსათო ნატურ გადასახადი მაზრებში

(როგორ უყურებს სასურსათო ნატურ გადასახადს ჩვენში გლეხკაცობა).

შეცვლილ მომენტის პირობებთან და ძალთა განწყობილებასთან შეთანხმებულმა საბჭოთა რესპუბლიკის შეცვლილმა ეკონომიურმა პოლიტიკამ ჩვენშიაც მოქმედება დაიწყო.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით სასურსათო ნატურ გადასახადის კომპანიას ჩვენში უკვე შეუდგენ.

მაწოდებულია პარტიის ყველა ძალები, რომ შეითვისონ ამ საგანზე შემუშავებული დეკრეტი, შეიმუშავონ გეგმა და წესი ადგილობრივათ მისი ცხოვრებაში გასატარებლათ და გასწიონ გლეხთა ფართე მასსებში პროპაგანდა აგიტაცია სასურსათო საკითხის გარშემო.

მაგრამ თავი და თავი აქ ისაა, თუ როგორ უყურებს თვითონ გლეხი ამ საკითხს: რა აინტერესებს მას, ან რა აფრთხობს ან ვინ აფრთხობს მას ამ საქმეში.

ამ კითხვებზე ჩვენ გვიპასუხებს ის ამბები, რომლებიც ახლა, კამპანიის დაწყების დღიდან ჩვენ თვალწინ იშლება.

პირველათ ჩვენ გვქონდა შემოხვევა გაგვეგო გლეხების დამოკიდებულება სასურსათო ნატურ გადასახადის დეკრეტთან და პირველ შეხვედრისთანავე გამოირკვა შემდეგი: გლეხკაცობა იყოფა სამ ჯგუფათ და მთავარს გულს და დიდ უმრავლესობას გლეხობისას წარმოადგენს შუათანა შეძლების გლეხკაცობა, რომელიც ჯერჯერობით თავს იკავებს და ვერ ერკვევა, რომ პირდაპირ გადაჭრით პასუხი გასცეს მიმდინარე ცხოვრების მიერ წამოჭრილ კითხვას.

მისი გამორკვევა და პასუხი დიდათ არის დამოკიდებული პარტიულ მუშაობაზე და იმაზე, თუ რამდენათ შესძლებს პარტია გაურკვიოს მას სასურსათო ნატურ-გადასახადის მნიშვნელობა, საჭიროება, რომელიც გამომდინარეობს მისივე გლეხკაცებისავე ინტერესებიდან და შესძლებს გადასროლოს გლეხთა მასსებში შესაფერი ლოზუნგი.

გლეხკაცობის პირველი კატეგორია, ღარიბი ნაწილი, ცხადია ხელაღებით ეწერება ნატურ-გადასახადს და მოითხოვს ცხოვრებაში მის გატარებას.

არიან აგრეთვე სოფლათ კულაკური ელემენტებიც, განსაკუთრებით მოხუცები, რომლებიც მენშევიკების ჩაგონებით ბოლშევიკურ რეჟიმს საერთოთ არ ემადლიერებიან, მარა ისინი მცირე რიცხოვან ჯგუფს წარმოადგენენ.

შუათანა გლეხი ყოყმანშია დღეს: მას კიდევ არ სჯერა გამოვა აქედან რამე, თუ არა.

კარგი, კეთილი, ამბობს ის მზათა ვარ გავიღო ეს გადასახადი, მაგრამ მექნება კი ის საქონელი, რომელიც ჩვენ გვჭირდება? მაგალითად სასოფლო მეურნეობისთვის საჭირო იარაღები, ხელსაწყო, ფართლეულობა, ან ფარჩეულობა, მარილი და სხვა, თუ ისევ ხელცარიელი დავრჩებით? არ მოგვატყუებთ? აი როგორ აყენებს შუათანა გლეხი კითხვას.

როგორც ხედავთ საჭიროა მისი ნდობის მოპოვება, მისი დაჯერება, რწმენის გაჩენა, ხოლო ყოველივე ეს მასში შეიძლება აღიძრას მხოლოთ ცოცხალი მაგალითით ან თვალსაჩინო მაგალითებზე მითითებით.

და აქ გვმართებს დიდი ენერგიის გამოჩენა; დიდი უნარი, რომ შუათანა გლეხის გული მოგებულ იქნას; ამიტომ არის საჭირო, რომ დღეიდანვე ალაგმულ იქნას ყველა ის, ვინც თავისი შავი ზრახვებისათვის აფრთხობს ამ გლეხს და უნდობლობას უნერგავს ჩვენდამი. ესენი არიან ძველი მენშევიკები და ესერები, მემარჯვენე ფედერალისტები, ნაციონალ-დემოკრატები და ყოველგვარი კონტრრევოლუციონერები, რომლებიც დღეს სოფლებში გაფანტულან და ჩვენს წინააღმდეგ სასურსათო გადასახადის გამო გულხათრიანობით, ჩურჩულით გულმოდგინეთ აგიტაციას ეწევიან.

სოფლებში უკვე ხმა დააგდეს: მოვიდენ ბოლშევიკები და პური უნდა წაგვართვაონ. ამით მათ სურთ ერთგვარი შიშიანობა ჩამოაგდონ გლეხებში და მათში პროტესტი გამოიწვიონ.

როგორც გადმოგვცემენ ბევრი შეძლებული გლეხი უკვე ემორჩილება ამ ხმებს და ჩქარობს მოწეული ხორბალი სადღაც საიდუმლო ორმოებში მიმალოს.

მაგრამ ავიწყდებათ ჩვენს შინაურ მტრებს, რომ საქართველოს საბჭოთა მთავრობის აპარატი არც ისე სუსტია, რომ ისინი ვერ ალაგმოს და საიდუმლო ორმოებიდან კულაკების მიმალული ხორბალი დღის სინათლეზე ვერ გამოიტანოს.

დაე უწყოდენ, რომ ვერც ერთი კულაკი ვერ გაექცევა ამ გადასახადს, ვინაიდან ნათესის სიები უკვე შედგენილია და მათი მოსავლის რაოდენობა უკვე წინდაწინვე ზედმიწევნით აღრიცხულ გამოანგარიშებულია.

რ. ქ.

ბი: მოხსენება განათლების კომისარიატის, მოხსენება პროლეტარულ კულტურაზე, როლი და მიზნები კავშირების კულტურულ მუშაობის შესახებ. კულტ განყოფილების დამოკიდებულება განათლების კომისარიატთან და რაბისთან.

ჩეხოსლოვაკიის ეკონომიური კომისია

ჩეხოსლოვაკიის ეკონომიურმა კომისიამ ტფილისში არსებულ თავის განყოფილების საშუალებით გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის კომისარიატში შეიტანა წინადადება ამიერკავკასიასა და ჩეხოსლოვაკიის შორის მჭიდრო სავაჭრო დამოკიდებულების დამყარებისა და ამიერკავ. ს. რ, საჭიროებისთვის ყოველთვიურად სხვა და სხვა საქონლის მოწოდების შესახებ.

ეკონომიური კომისიის წინადადებანი გამოიხატება შემდეგში: მისია მზად არის ლოიალურად ითანამშრომლოს საქართველოს ს. ს. რ. მთავრობასთან საბჭოთა საქართველოს ეკონომიურ და ინდუსტრიალურ სიძლიერის შექმნის საქმეში. ეს მოხერხდება ეკონომიური კავშირის დამყარებით და სპეციალისტების სათანადო რიცხვის გამოგზავნით სხვა და სხვა სასოფლო სამეურნეო, სამთამადნო და წარმოების სხვა დარგებში; გამოგზავნილი იქნება სპეციალისტები სახალხო განათლების, გზათა და სხვა საქმეების მოსაწესრიგებლად.

მისია ვალად იღებს სხვა და სხვა იარაღებისა და აპარატების გამოგზავნას სამეცნიერო ლაბორატორიებისათვის, ტეხნიკურ და მექანიკურ სახელოსნოებისთვის, ფაბრიკებისთვის ქარხნებისათვის და სხვ. მისია ვალად იღებს ახალგაზრდათა აღზრდის საქმეს, რომლებიც გაგზავნილი იქნებიან ჩეხო—სლოვაკიის დაბალ და უმაღლეს სასოფლო სამეურნეო სამთამადნო, სატეხნიკო და სხვა სპეციალურ სასწავლებლებში. ამ სასწავლებლთა კურსის გავლის შემდეგ ახალგაზრდები იმუშავებენ ადგილობრივ ფაბრიკებსა, ქარხნებსა და სხვ. პრაქტიკაზე. სამაგიეროთ მისია მოითხოვს ფულებს, ნედლი მასალას და სამთამადნო წარმოების პროდუქტებს, მისია თანხმაა პირდაპირი მიმოსვლა შეიქმნას თავისი გემებით ჩეხოსლოვაკიასა და საქართველოს შორის. გაერთიანებულმა საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა განიხილა მისიის განცხადება, რომელიც მიიღო და გადასცა განსახილველად საქართველოს რევკომს. საქართველოს რევკომმა ეკონომიურ დელეგაციის წინადადება მიიღო ავგისტოს 12—ს. საქართველოს ს. ს. რ. რევკომის თავმჯდომარე ამხ. ბ. მდივანმა მიიღო ჩეხოსლოვაკიის სავაჭრო დელეგაციის თავმჯდომარე მოქაიაროსლავ სვიტოში, რომელმაც რევკომის თავმჯდომარეს გადასცა თავის რწმუნებულობის ბარათი და რომელიც მას ხანგრძლივად ესაუბრა.

წითელი პროფკავშირების კრება

მოსკოვი. 17 ივლისი (რადიო) საერთაშორისო პროფკავშირთა საბჭომ დაადგინა მოაწყოს ყველა ქვეყნებში 1—8 დეკემბერში პროფკავშირების წითელი ინტერნაციონალის კვირა.

ორთქმავლები გერმანიიდან.

მოსკოვი, 17 ივლისი (რადიო) გერმანიაში შეკვეთილ 300 ორთქმავალთა რიცხვიდან მიმდინარე ნავიგაციის დროს შეიძლება მოტანილ იქმნას მხოლოდ 64 ორთქმავალი.

პირველი გემი 8 ორთქლმავალით მოვა პეტროგრადში სექტემბრის დასაწყისში. სადგურის ტერიტორიაზე მოთავსებულია წინასწარი მუშაობა ორთქლმავლების მისაღებათ.

საქონელი საზღვარ გარეთიდან.

პეტროგრადი. 15 აგვის. (რადიო). 14 აგვისტოს მოვიდა გერმანული გემი სასოფლო-სამეურნეო იარაღებით, წიგნებით, სტამბის მელნით და საქსოვ მანქანებით. 13 აგვისტოს მოვიდა დანიის გემი, რომელმაც მოიტანა 580 ტომარა ხორბალი.

შიმშილობასთან ბრძოლა.

დამშეულთა დამხმარე ცენტრალურ კომისიაში.

მოსკოვი. 6 აგვისტო, სრულიად რუსეთის ცენტრალმასკომთან არსებულ დამშეულთა დამხმარე ცენტრალურ კომისიამ თავის სხდომაზე მოისმინა ფინანსთა სახალხო კომისარის მოხსენება კომისიის საჭიროებისათვის თანხის გაღების შესახებ. გადასწყდა წინადადება მიეცეს ყველა სახალხო კომისარიატებს და უწყებებს წარმოადგინონ შიმშილობასთან საბრძოლველი გასაწევ დამატებითი ხარჯთაღრიცხვა. აღიძრა შუამდგომლობა ამ საჭიროებისათვის 5 მილიარდ მანეთის გაღების შესახებ.

კომისიამ მიანდო სასურს. სახალხო კომისარს ცენტრო—კავშირის დახმარებით შეიძინოს დამშეულთათვის ერთი მილიონ ფუთი კარტოფილი.

გადასახლების მოწესრიგება.

მოსკოვი, 6 აგვისტო. დამშეულთა დამხმარე ცენტრალურმა კომისიამ მოითხოვა ყოველგვარი ცნობები ციმბირში გადასახლებულ დამშეულთა მდგომარეობის შესახებ. გადასწყდა, რომ დაევალოს ყველა სახალხო კომისარიატებსა დაწესებულებებს, ვინც კი ამგზავრებს დამშეულებს ციმბირისაკენ, ამის სათანადო ნებართვა წინასწარ მიიღონ დამშეულთა დამხმარე ცენტრალურ კომისიიდან. გადაწყდა აგრეთვე, წინადადება მიეცეს ციმბირის რევკომს, რათა მან სასწრაფოთ გამოარკვიოს, თუ რამდენი მუშა ხელი სჭირია მოსავლის ასაკრეფათ და დამშეულ რაიონიდან რამდენი ბავშვების მიღება მოვლა შეუძლია..

კაპიტალიზმის სამეფოებში

საბერძნეთ-ოსმალეთის ფრონტზე

საქართველოს რევკომის საინფორმაციო განყოფილების ცნობა.

ტფილისში არსებული ოსმალეთის უმაღლეს ეროვნულ ყრილობის სრულ უფლებიანი წარმომადგენლობა ანატოლიის დასავლეთ ფრონტზე არსებულ მდგომარეობის შესახებ შემდეგს იუწყება:

გაზ. „პრავდა გრუზიის“ № 133 11 აგვისტოდან დაბეჭდილი იყო ბერძენთა ცნობები იმის შესახებ, თითქოს ანგორა დასტოვეს ქემალისტებმა და მის დასაკავებლად ემზადება ბერძნების ჯარები.

საბერძნეთის ოფიციალური წრეებიდან გამოსული ეს ცნობები წარმოადგენს მტკნარ სიცრუეს, რადგანაც ოსმალეთის მთავრობა და უმაღლესი ეროვნული კრება იმყოფება ანგორაში და ოსმალეთის სამხედრო ხაზი მდებარეობს შორს მანძილზე ამ ქალაქიდან დასავლეთის მხრივ ა. წ. ივლისის 11-ს სრულისა და უშაკის რაიონებში ჩვენ მტერთა მიერ დაწყებული შეტევა და მათი გეგმები ამ მიმართულებით მათი გამარჯვებით არ დაგვირგვინებულა.

ინე გელიდან და დუმლი პინკარიდან დაწყებული ამ ფრონტის სხვა და სხვა პუნქტებში [illegible] ბრძოლებში ჩვენი ჯარები სასტიკად უტევდენ ბერძნებს და ანადგურებდენ მათ ჯარებს, და სრული წესრიგით დაიხიეს ამის შემდეგ ჩვენმა ჯარებმა ახალ პოზიციებზე.

მტერმა ამ საგრძნობი შეტევის შემდეგ ბილეჯიკთან, ესკი შეხირთან, სიდი-გაზისთან, ალთუნ ტაშისთან, აფიუნ-კარაჰისართან წინ ველარ წამოიწია ამ ხაზის აღმოსავლეთით და ამ ჟამად ერთ და იმავე ადგილზე იმყოფება.

ოსმალეთის ლაშქარი გადამეტებულ ბრძოლაში ჯერ კიდევ არ შებმია მტერს. ათინის მართველ წრეების ოფიციალურ განცხადების თანახმად ჩვენ ჯარებს ყოვლგვარი საჭირო სამხედრო მოწყობილებებით დაუხვდა ახალ პოზიციებზე და იგი დღითი დღე ძლიერდება რაც, როგორც საბერძნეთის გაზეთებიდან სჩანს, მეტად აწუხებს ბერძნებს.

ჩვენი ჯარის ნაწილების სულიერი და მატერიალური მდგომარეობა საუცხოვოა. ოსმალეთის ჯარის ნაწილები მოუთმენლობით ელიან გადამწყვეტ ბრძოლას. ჩვენი ცხენოსანი ნაწილები შეუპოვრებლივ და დიდის წარმატებით მოქმედობენ მტრის ზურგს უკან, ანგრევენ გზებსა და ხიდებს, აფეთქებენ სამხედრო საწყობების დეპოებს და ხელთ იგდებენ მტრის ობოზებს. ოსმალეთის ხალხი გადაქცა სალ კლდეთ; იგი იმედით უცქერის თავის მომავალს და ფიქრობს, რომ საბოლოო გამარჯვება მას დარჩება.

ამ მოკლე ხანში ანატოლია გარდაიქცევა იმპერიალისტური და სისხლის მსმელ, ბატონობის მოსურნე საბერძნეთის ჯარებისათვის საერთო სამარედ.

რუმინეთი

სკანდალი რუმინეთის პარლამენტში

ბერლინი, 2 აგვისტო. ბუქარესტიდან მიღებულ ცნობებით, პარლამენტში მოხდა სკანდალი და ჩხუბი წარმოებათა ნაციონალიზაციის საკითხის განხილვის დროს. ვაჭრობის მინისტრს წაუყენეს ბრალდება მექრთამეობაში. საქმე იქამდე მივიდა, რომ მინისტრს გაარტყეს პირისახეზე, რის შემდეგ მოხდა საერთო ალიაქოთი.

იტალია.

მუშების გრანდიოზული დემონსტრაცია

რომი. შესდგა რომის მუშების გრანდიოზული კრება ფაშისტების ძალმომრეობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. კრების შემდეგ მოწყობილ იქნა დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 60 000 კაცმა. შეწყდა ყოველგვარი მოძრაობა ქუჩებში, მუშაობა დაწესებულებებში და ფაბრიკა ქარხნებში, სიტყვებით გამოვიდნენ ანარქისტები, კომუნისტები და სინდიკალისტები. ორატორები ამბობდნენ, პროლეტარიატმა ბოლოს უნდა გამოიჩინოს მზად ყოფნა, როგორც ერთი კაცი აღდგეს თავისი უფლებათა დასაცავად. წესიერება სალამომდე არ დარღვეულა.

ბრძოლა თეთრ რეაქციასთან.

რომი. 10 აგვისტო. უკანასკნელ უწესოებებმა და შეტაკებებმა ფაშისტებთან საბაბი შექმნა დაერსებინათ სოციალისტებს თავდაცვის კომიტეტი თეთრ რეაქციის წინაღმდეგ. კომიტეტის მიზანია—ბრძოლა ფაშისტებთან და შავრაზმელებთან. პრესა აღნიშნავს, რომ ფაშისტებს და სოციალისტებს შორის შეთანხმების ჩამოგდება შეუძლებელია.

რეფორმები იტალიაში.

რომი 12 აგვისტო. (რადიო) პარლამენტის კომისია შეუდგა იტალიის საერთო ეკონომიური მდგომარეობის გარჩევას. გამოირკვა საჭიროება სასოფლო მეურნეობის შრომისა და მიწად-მოქმედების კულტურისა, განსაკუთრებით ვაზის კულტურის დაუყოვნებელ ინტენსიფიკაციისა. გადასწყვიტეს დაუყონებლივ გაგზავნონ ადგილობრივ საგანგებო კომისიები ყველა დეპარტამენტების გამოსარკვევად და მის წინააღმდეგ საბრძოლველად. აზრად აქვთ, მთელი რიგი აგრარული რეფორმათა გაატარონ.

ისპანია

მუშათა მოძრაობა

მადრიდი. ლიბერალების ლიდერმა რომანესმა მიმართა მთავრობის თავმჯდომარეს პროტესტით მუშების მიმართ მთავრობის მტრულ პოლიტიკის გამო და განსაკუთრებით პოლიტიკურ პატიმრების მკვლელობის წინააღმდეგ. შრომის საერთო კონფერენციის და ისპანიის სოციალისტური პარტიის აღმასრულებელ კომიტეტის თათბირზე გამოიტანეს პროტესტის რეზოლუცია თეთრი ტერორის წინააღმდეგ. ამ რეზოლუციას გადასცემენ ისპანიის მთავრობას.

ლატვია.

ებრაელთა დევნა

რიგა. 4 აგვისტო, ლატვიის სამთავრობო გაზეთმა „ლატვიას ვესტნესის“ მოათავსა ანტისემიტური წერილი; მთავრობის მიერ ებრაელთა წინააღმდეგ განზრახულ ღონისძიებათა გამო. სტატია წინადადებას იძლევა: 1) შემოღებულ იქნეს სასტიკი კონტროლი ლატვიაში შემომავალ ებრაელებზე, 2) აიკრძალოს ებრაელების ბინადრობის უფლება ქალაქებსა და სოფლებში, 3) გამოცემულ იქნას კანონი, რომელიც მოაწესრიგებს ვაჭრობის უფლებას უცხოელთათვის, პროპორციონალურად მათი რაოდენობისა, 4) განხორციელებულ იქნას მეტად ფართო ფარგლებში ბრძოლა ვაჭრობისადმი ბოიკოტი. ლიბერალური პრესა აფრთხილებს ლატვიის მთავრობას ნუ გაჰყვება ანტისემიტიზმს, რომელსაც მოჰყვება სამწუხარო შედეგები.

მთავრობის გადადგომა

ნაუენი. 14 აგვ. ისპანიის მთავრობა თანამდებობიდან გადადგა. ეს გამოწვეულია ისპანიაში სოციალურ პოლიტიკური ურთიერთობის მეტით გამწვავებით და მაროკოს სამხედრო მარცხებით. რომანონესს მიანდო ახალი კაბინეტის შედგენა.

საფრანგეთი.

უმუშევარნი საფრანგეთში.

პარიზი. 8 აგვისტო, (რადიო) სენატმა უკანასკნელ სხდომაზე განიხილა კანონ-პროექტი 12 მილ. ფრანკის ფონდის შესაქმნელად უმუშევართა სახელმწიფოსაგან უზრუნველსაყოფად. სენატის საფინანსო კომისია მოითხოვდა კრედიტის შემცირებას 10 მილიონამდე. საზოგადო მუშაობის მინისტრი დაეთანხმა კრედიტის შემცირებაზე და თან დაურთო, რომ ფრიად სასტიკად მოექცევა უმუშევართა რეგისტრაციას. საერთოდ მინისტრმა აღნიშნა, რომ უმუშევართა რაოდენობა ეცემა. თებერვალში იყო აღრიცხული 88,382 უმუშევარი, ხოლო ივნისში 35,000. პარიზში ამ ჟამად ითვლება 13850 უმუშევარი. [illegible] 17000 ივნისში. საზოგადო მუშაობის მინისტრი იღებს ზომებს უმუშევრების გასაგზავნათ მიწადმოქმედ სამუშაოდ, ვინაიდან სოფელი განიცდის მუშა ხელის ნაკლებობას. მთავრობის პირველ საზრუნავს უნდა შეადგენდეს სოფლის უზრუნველყოფა მუშებით, რითაც უმუშევრობა მოისპობა.

ქრონიკა

◆ **სამხარეო ეკონომიური თათბირი.** დამთავრდა კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამხარეო ეკონომიური თათბირი. სპეციალურ კომისიების მიერ შემუშავებული რეზოლუციები მიიღო თათბირმა და დამტკიცებულ იქნა კავკასიის პარტიულ თათბირის მიერ.

◆ **დახმარება დამშეულთ.** მელითონეთა პროფკავშირის ცენტრალურმა გამგეობამ, განიხილა რა ვოლგას ნაპირის დამშეულთა და დახმარების საკითხი დაადგინა: 1) სამი თვის განმავლობაში კავშირის წევრების ფაქტიურ ჯამაგირიდან დამშეულთა სასარგებლოთ გადაიდოს ხელფასის 10 პრ. 2) დამშეულთა სასარგებლოთ გაიმართოს წარმოდგენები ცენტრალურ მუშათა კლუბში და არსენალის კლუბში. 3) წარმოებათა მუშების ყველა კრებებზე დაისვას საკითხი რუსეთის დამშეულთა დახმარების შესახებ.

◆ **წაღვერის ფ.-ტ. განყოფილება** 15 აგვისტოდან გაიხსნა წაღვერის ფ.-ტ. განყოფილებაზე კორესპონდენციის სცვლა ბორჯომის ფ. ტ. კონტორასთან.

◆ **ახალი ოპერა.** პოლიტიკურ განათლების მთავარი სამმართველოს რევოლიუციონურ თეატრში ხუთშაბათს აგვისტოს 18 იქნება „ახალი ოპერის“ საოპერო წარმოდგენები. სდგამენ ვერდის „რიგოლეტოს“ დირიჟორობს ფოლიაშვილი.

პარტიული ცხოვრება

გომის რაიონული პარტიული კონფერენცია.

1921 წელს მარიამობისთვის 7-ს შესდგა გომის საზოგადო თეატრში რაიონული პარტიული კონფერენცია, რომელსაც დაესწრო ყველა სოფლებიდან ათ წევრზე—ერთი დელეგატი—სულ 50 კაცი. თავმჯდომარეობდა ამხანაგი ა. ცაბაძე, მდივნათ იყო შ. სხირტლაძე.

დღის წესრიგი: 1) მოხსენება რაიკომისა, 2) პრეზიდიუმის და სამანდატო კომისიის არჩევა, 3) რაიკომის არჩევა, 4) არჩევა მაზრის კონფერენციაზე გასაგზავნი დელეგატებისა.

1. პირველ კითხვაზე მოხსენება გააკეთა გომის რაიკომის პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. ზ. კიკნაძემ. მან გააშუქა პარტკომის მუშაობა როგორც წარსულში ისე დღევანდელი და სხვათა შორის სთქვა, რომ წინათ ნაკლებად ეტყობოდა საქმიანობა გომის პარტკომს, ამ ბოლო დროს კი თანდათანობით გამოცოცხლდა ყოველივე მუშაობა და დღეს დარწმუნებული ვარ, რომ როდესაც ჩაგვემატნენ შეგნებული ორგანიზატორები უფრო გასკეცებულ ენერგიით განვაგრძობთ ჩვენს წმინდა საქმეს და შევქმნით უსასტიკეს დისციპლინას როგორც ადგილობრივ, ისე ყველა სოფლებშიო“ (ტაში).

ამავე საკითხზედ ილაპარაკა გომის რაიონის პასუხის-მგებელმა ორგანიზატორმა ამხ. ცაბაძემ, რომელმაც მკაფიოთ გააცნო ამხანაგებს საქართველოს მშრომელი ხალხის მრავალტანჯული განვლილი მდგომარეობა და შედარა დღევანდელ თავისუფალ საბჭოთა ხელის უფლების ხანას. ამხ. ცაბაძემ აღნიშნა პარტიული მუშაობის შემაფერხებელი მიზეზები საზოგადოთ და კერძოთ სასტიკათ გააკრიტიკა გომის პარტკომის უდისციპლინო და გზა აბნეული მუშაობა. ამხ. ცაბაძემ მოუწოდა ამხანაგებს მოხდეს ახალი პრეზიდიუმის არჩევა ისეთ პირებისაგან შემდგარი, რომლებიც შექმნიან შეურყეველ პარტიულ დისციპლინას და გააჩაღებენ ნამდვილ მუშაობას, როგორც შეჰფერის სახელოვან კომუნისტებს პარტიაში (მქუხარე ტაში)..

შემდეგ ილაპარაკა ამხ. ტაბუცაძემ, რომელმაც განმარტა დღევანდელი არჩევნების მნიშვნელობა და მოუწოდა ამხანაგებს აირჩიონ როგორც პრეზიდიუმში, ისე კონფერენციაზე გასაგზავნათ ნამდვილი და დაუღალავი მუშაკები, რომლებიც დაიცავენ მშრომელი ხალხის ინტერესებს.

რეზოლიუცია პარტკომის მუშაობაზე: „მოვისმინეთ რა გომის რაიონის პარტკომის მოხსენება, კრება დარწმუნდა, რომ მართალია რაიკომს უმუშავნია უფრო ნაყოფიერათ შედარებით ყოფილ პარტკომებისა, მაგრამ ამავე დროს კრებამ დაინახა, რომ პარტკომში მთლად არ არის მოსპობილი ხაოსი, მოუწყობლობა, და უდისციპლინობა, რის წყალობითაც არ სწარმოებს მიზან-შეწონილი პარტიული მუშაობა. ამიტომ კრებამ დაადგინა, მოხდეს არჩევნები პარტკომისა, და შედგეს პრეზიდიუმი ისეთ პირებისაგან, რომლებიც გაასკეცებენ პარტიულ მუშაობას და დაიცავენ უსასტიკეს დისციპლინას როგორც ადგილობრივ ისე ყველა სოფლებში.

2) პარტკომის პრეზიდიუმში ყრილობამ აირჩია შემდეგი ამხანაგები: 1. ზ. კიკნაძე, 2. ა. ცაბაძე, 3. ლ. ტაბუცაძე, 4. ნ. გრიქუროვი, 5. შ. სხირტლაძე.

3) სამაზრო კონფერენციაზე გასაგზავნათ ყრილობამ აირჩია შემდეგი დელეგატები: 1. კიკნაძე ბენიამინ, 2. ცაბაძე ალექსანდრე, 3. ტაბუცაძე ლევან, 4. გრიქუროვი ნიკალა, 5. სხირტლაძე შიო, 6. ნოზაძე ნიკალა, 7. ჩუტკერაშვილი იასონ, 8. ხაულაშვილი სერგო, 9. შერაზადიშვილი სისო, 10. გონგლაძე სტეფანე, 11. კეფაშვილი ალექსანდრე, 12. ლომიძე დავით, 13. ნავროზაშვილი დიმიტრი, 14. თიბილაშვილი დომენტი, 15. ხარაზიშვილი ვანო.

გომის რაიპარტკომის პასუხისმგებელი მდივანი ზ. კიკნაძე.

წარმოებითი პროფკავშირებში

ცნობა

საბჭოთა თანამშრომლების კავშირის ყველა განყოფილებათა საყურადღებოთ.

ამა წლის 20 აგვისტოს, ქ. თბილისში მოხდება საქართველოს საბჭოთა თანამშრომლების ყრილობა.

წარმომადგენლობის ნორმა ხსენებულ ყრილობაზე შემდეგია—ყოველ 200 თანამშრომელზე—1 წარმომადგენელი.

საქ. საბჭოთა თანამშრომლების ყოველი განყოფილება უნდა ეცადოს გამოგზავნოს აღნიშნულ ვადისათვის ყრილობაზე თავისი წარმომადგენელი.

საბჭოთა თანამშრომ. გამგეობა.

სრულიად საქართველოს სახალხო კვებისა და საერთო საცხოვრებლების პროფკავშირთა კონფერენცია

ამხ. ჟუღელის მოხსენება მუშათა სატარიფო პოლიტიკისა და მატერიალურად უზრუნველყოფის შესახებ.

სატარიფო პოლიტიკა, ამბობს ამხ. ჟუღელი, ბურჟუაზიულ წყობილების პირობების დროს, სადაც, იქ მხოლოდ ორი კლასია—მუშათა და მოსამსახურეთა კლასი, რომელიც თავის შრომას ყიდის, და კაპიტალისტი ექსპლოატატორების კლასი, რომელიც სარგებლობს ამ შრომით. მათ შორის ყოველთვის წარმოებს ფრიად შეურიგებელი—ბრძოლა, რომელთაც ერთნი ცდილობენ თავის ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობას ხოლო მეორენი ცდილობენ გაძლიერონ ექსპლოატაცია. საქართველოსთვის შემდეგ მომენტად გაჩნდა სატარიფო პოლიტიკა მენშევიკების ბატონობის დროს, როდესაც პირობები თითქმის ისეთივე იყო როგორც ბურჟუაზიულ წყობილობის დროს. აგვისტოს 1-იდან 1919 წ. დაწესებული იყო სატარიფო პალატა, მაგრამ ამ პალატის დაწესების შემდეგ მუშები აღმოჩნდნენ უფრო ცუდ პირობებში, ვიდრე მანამდე იყვნენ, ვინაიდან ამ მომენტიდან მუშებისათვის იყო დაწესებული დაბრკოლებანი მათ მიდგომაში.

სატარიფო პოლიტიკას საფუძვლად დაედო ცხოვრებისთვის საჭირო ხარჯის მინიმუმი, მაგრამ ცხოვრებაში იგი არ იყო გატარებული, რასაც ნათლად ამტკიცებს სტატისტიკური ცნობები. როდესაც აგვისტოში ტარიფი გადიდდა 35 პროც.-ით, ფასები, პირველ საჭიროების სურსათზე, მაზარზე მოემატა 100—150 პროც.

პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში შრომის ხელფასის სისტემა და სატარიფო პოლიტიკის საფუძველი ესწრაფვის უზრუნველყონ მუშების ნივთიერი მდგომარეობა, ხელი შეუწყონ შრომის რეორგანიზაციას და უზრუნველყონ მისი შრომის ნაყოფიერების მაქსიმალობა. ტარიფი—ეს გახლავთ სახსარი, რომელიც თვით მშრომელთა მიერ არის შექმნილი. ამისთვის საჭიროა ტარიფის დაწყობა კვალიფიკაციის საფუძველზე და შემოღება შრომის ნორმებისა და წამახალისებელი სისტემისა. ეხლა შრომის ფულით ანაზღაურების დროს ამ მიზნების ასრულება შეუძლებელია, ვინაიდან ფულის ტარიფიკაცია ფასს უკარგავს ფულის ნიშნებს. ამიტომ საჭიროა თანდათანობით შემოღებულ იქნეს ნატურალური შრომის ხელფასი. თანდათანობა უნდა გამოიხატებოდეს საერთო კლასობრივ ულუფის, ხოლო შემდეგ შრომის ულუფის შემოღებაში, ზედმეტ კვების ნორმების დაწესებით. არა ნაკლები მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს საერთო და სპეციალური ტანსაცმლით მომარაგებამ. ამასთანავე, ტრამვაით უფასოთ სარგებლობამ, და სხვა ეს შესაძლებლობას მოგვცემს უზრუნველვყოთ მუშები. ყველა ეს საჭიროა დაემორჩილოს დაწყებულ პრინციპს. ის სურსათის მარაგი, რაიც ქვეყანას მოეპოვება, უნდა დაურიგდეს პირველ რიგში იმ წარმოებათა მუშებს, რომელნიც ასრულებენ მნიშვნელოვან „დამრტყმელ“ საქმეებს. თუმცა ფულით დაჯილდოება არის ფაქტია, მაინც იგი გზა და გზა უნდა ასუსტებდეს იმ დრომდე, ვიდრე არ შეიქმნება მნიშვნელოვანი ფონდი და შესაძლებელი იქნება ნატურით სრული დაჯილდოების შემოღება.

პროვინციაში.

სალხინო (სენაკის მაზრა)

1921 წელს 2 აგვისტოდან 5 აგვისტომდე სალხინოს რაიონში, ჩატარებული იქნა პროპაგანდის კვირა მესამე ინტერნაციონალის საპატივცემოდ. 2 აგვისტოს სენაკიდან სალხინოში ჩამოვიდნენ სენაკის სამაზრო რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. სამსონ მამულია. სენაკის სამაზრო სამხედრო კომისარი ამხ. ნაჭყებია და სენაკის მაზრის კომუნისტური რაზმის ინსტრუქტორი ამხ. ტყებუჩავა. 2 აგვისტოს სალხინოში იყო დანიშნული ალლუმ მიტინგი, მაგრამ ცუდი ამინდისა გამო ვერ შესდგა, მხოლოდ ამავე საღამოს დადგმული იქნა უფასო წარმოდგენა ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ, რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო. სანამდის წარმოდგენა დაიწყებოდა, წარმოთქმული იქნა სიტყვა ამხ. ი. გულორდავას მიერ მესამე ინტერნაციონალის მნიშვნელობაზე. ორკესტრმა შეასრულა „ინტერნაციონალი“. შემდეგ გაიმართა წარმოდგენა სონია გულორდავას ხელმძღვანელობით, წარმოდგენის დასრულების შემდეგ გაიმართა ცეკვა თამაში. რომელიც გაგრძელდა დილის 5 საათამდის, ხალხი დაიშალა დიდად ნასიამოვნები. 3 აგვისტოს სენაკიდან ყველა ჩამოსულთ ამხანაგები ორკესტრით გაემგზავრნენ კურზუს თემში, აქაც დადგმული იქნა უფასო წარმოდგენა, ხალხი დაესწრო ბლომად. 5 აგვისტოს სალხინოში მოწვეული იყო სარაიონო მიტინგი და კომუნისტური რაზმის ალლუმი. ამ დიად დღეს ბუნებამაც შეუწყო ხელი, დილიდანვე ცის ჰორიზონტი გადაიწმინდა და დადგა კარგი ამინდი. კურზუდან დაბრუნდა ამხ მამულია ორკესტრით სხვა ამხ. ერთად სალხინოში. საათის თერთმეტზე უკვე მოვიდნენ სალხინოში კოწის და თაიოკანის თემებიდან ფეხოსანთა და ცხენოსანთა კომუნისტური რაზმი ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად. ეს რაზმი თუმცალა თავის შემადგენლობით მცირე, მაგრამ შეგნებით ძლიერე და ურყევი აღფრთოვანებული, „ინტერნაციონალის“ სიმღერით მოდიოდა სალხინოში. მათ წინ მოუძღოდენ წითელი დროშები და მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. სალხინის თემში მათ შემოუერთდა ადგილობრივი კომუნისტური რაზმი, აგრეთვე იყვნენ ყველა თემებიდან ახალგაზრდა კომუნისტური კავშირის წევრებიც. საათის ორზე ამხ. ტყებუჩავას ხელმძღვანელობით ყველა შეიარაღებულ ძალები დარაზმული იქნა ერთათ და მრავალ რიცხოვანი მცხოვრებლებით გაემართა ყოფილ „პრინცესა მიურატის“ სასახლისაკენ. მანიფესტაცია წარმოადგენდა მშვენიერ სანახაობას: წინ მიუძღვის ორკესტრი, ფრიალებს მრავალი წითელი დროშები, და გაისმის რევოლიუციონური სიმღერები, ყველა მშრომელს ეხნება სიხარული, აღფრთოვანება, ღიმილი და მხიარული გამომეტყველება. ასეთი დიადი სანახაობა და კომუნისტური რაზმის ურყევი რიგები აულდგმულებს აძნევს კომუნიზმის დიადი იდეალების გამტკიცების იმედს უნერგავს ყველა პატიოსან და შეგნებულ მუშას, ხოლო გულს ულონებს და შიშის ზარს სცემს ყველა წვრილფეხა პროვოკატორებს და თბილად დარჩენილ მენშევიკებს. სამ საათზე სასახლის ეზოში მოეწყო ალლუმი, ალლუმი მიიღო სენაკის სამაზრო რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. სამსონ მამულიამ და სალხინოს რაიკომის პასუხისმგებელ მდივანმა ამხ. ჩარგაზიამ. ალლუმის შემდეგ გაიმართა მიტინგი, რომელსაც დაესწრო აუარებელი ხალხი, მიტინგს ხსნის ამხ. ჩარგაზია და პირველი სიტყვა ეძლევა ამხ. მამულიას, რომელმაც თავისი შინაარსიანი სიტყვით, სენაკის სამაზრო რევოლიუციონური კომიტეტის სახელით მიესალმა კომუნისტურ რაზმს, განუმარტა მათ ის დიადი დანიშნულება, რომელსაც ასრულებს მათ კომუნისტური პარტია, უსურვა რაზმს გამარჯვება და ყოველივე მათზე დაკისრებული მოვალეობის ღირსეულად ასრულება. რამაც გამოიწვია ენთუზიასტური ტაში. მუსიკა ასრულებს „ინტერნაციონალს“. შემდეგ ამხ. მამულია ვრცლად ეხება 1—2 და მესამე ინტერნაციონალის ისტორიის სრულიად მდაბიო ენაზე. ამხ. მომხსენელმა აუხსნა მიტინგს პირველი ინტერნაციონალის ისტორია. აღნიშნა: მიუხედავად მაშინდელი მძიმე პირობებისა, პირველ ინტერნაციონალმა ასე თუ ისე შეასრულა თავისი მისია შემდეგ ამხ. ეხება მეორე ინტერნაციონალს და მისი ისტორიის აღნიშნავს მისი პოლიტიკურად გახრწნა გაკოტრებას და ღალატს მუშათა კლასის მიმართ რომელიც სრულიად გამოაშკარავდა 1914 წლიდან შემდეგ ამხ. მამულია ეხება მესამე ინტერნაციონალს და ამბობს: მესამე ინტერნაციონალი ის ინტერნაციონალი არის, რომელსაც დავალებული აქვს ისტორიის მიერ კაცობრიობის განთავისუფლება მონობის უღლიდან ეს ის ინტერნაციონალი არის, რომელიც ახორციელებს იმ დიად მოძღვრებას, რომელსაც ქადაგებდნენ უდიდესი მასწავლებელნი კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი. არ არის მსოფლიოში ისეთი ძალა, რომელმაც შეძლოს მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის დამარცხება ამ სიტყვებმა გამოიწვია მხურვალე ტაში ორკესტრი ასრულებს „ინტერნაციონალს“ შემდეგ ამხ. მამულია ეხება იმ პროვოკაციულ ხმებს, რომელსაც ავრცელებენ ადგილობრივი სხვა და სხვა ჯურის კონტრრევოლიუციონერები, ფაქტებით არღვევს რა ყველა ასეთ ცრუ ხმებს, ამხ. მამულია მდაბიო სიტყვით მარტივ ჩვენი დღევანდელი პოლიტიკას გლეხურ საქართველოში, რომელიც არის მიმართული მშრომელთა საკეთილდღეოდ და მოუწოდა მიტინგს ენერგიულ მუშაობისაკენ საბჭოთა აღმაშენებლობის საქმეში, ამით გაათავა ამხ. მამულიამ თავისი ვრცელი მოხსენება, რამაც გამოიწვია ხალხში აღფრთოვანება, დაუსრულებელი გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს ძახილი და ტაშის გრიალი, ორკესტრი ასრულებს „ინტერნაციონალს“, შემდეგ ახალგაზრდა კომუნისტური კავშირის სახელით კომუნისტურ რაზმს მიესალმა ამხ. ხაროიშვილი, სალხინოს რაიონული კომიტეტის სახელით მიესალმა კომუნისტურ რაზმს ამხ. ი. გულორდავა. [illegible] მიტინგი დარჩა დიდი კმაყოფილი რის შემდეგ გამოტანილი იქნა შემდეგი რეზოლუცია:

მოვისმინეთ რა მოხსენება სენაკის სამაზრო რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მამულიასი, ჩვენ სალხინოს რაიონის მცხოვრებთა მრავალი რიცხოვანი მიტინგი, აღფრთოვანებით მივესალმებით პირველ ავანგარდს მსოფლიო პროლეტარიატისა რუსეთის კომუნისტურ პარტიას და უსურვებთ მას მისი უდიდესი დანიშნულების მიღწევას, ჩვენ გვწამს, რომ რუსეთის კომუნისტური პარტია ხელი ხელჩაკიდებული საერთაშორისო კომუნისტურ პარტიებთან ერთად გადალახავს ყოველივე დაბრკოლებებს, დაამსხვრევს მონობის უღელს, განთავისუფლებს მსოფლიოს მშრომელთა მასას ბურჟუაზიის ბატონობისაგან დაამყარებს მშრომელთა დიქტატურას მანამდის სანამ არ განხორციელდება კომუნიზმი. [illegible] სალმებით საქართველოს კომუნისტურ პარტიას და მის მიერ ნდობით აღჭურვილ საბჭოთა მთავრობას და მათ ბელადებს.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციის წინამძღოლს ამხ. ლენინს.

გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს და მის თავმჯდომარე ამხ. ზინოვიევს.

წყევლა და კრულვა ბურჟუაზიის და მათი ლაქია მენშევიკებს, რომლებმაც გაცარცვეს საქართველოს მშრომელთა ავლა დიდება.—

ზიზღი მათ.

გაუმარჯოს დაუძლეველ წითელ არმიას და მის ხელმძღვანელს ამხ. ტროცკის.

ეს რეზოლიუცია იქნა მიღებული ერთ ხმად. ამით დამთავრდა მიტინგი საღამოს ექვს საათზე და ხალხი აღტაცებული დაიშალა თავ თავიანთ თემებში.—

ი. გულორდავა

1921 წ. 9 აგვისტო.

—

კვირაობა ძიმითში.

1914 წლის ომის დაწყებით სხვა სახელმწიფოებრივ წარმოების შეჩერებასთან ერთად სრულიად უყურადღებოთ დარჩა და უკან დაიქნა საზოგადოებრივი საქმეები სოფლად თემებში და მაზრებშიც სრულიად დანგრეულია გზები; ცოტა ხანი კიდევ და თემებში ურმით მიმოსვლა შეუძლებელი გახდება, მეტადრე ზამთარში. არც ერთი გროში ხიდში ამ ხნის განმავლობაში გზაზე არ დაყრილა, გზები დაშლილია მის კიდეზე აზრდილი ხეებით: თხრილები ამოვსებულია მიწით; გზაზე ხშირად ჩამოწოლილია ზვავები და წინ ეღობება მგზავრებს. თუმცა რამდენიმე მთავრობა გამოიცვალა ამ დროის განმავლობაში, მაგრამ ბოლო დრომდე არ მიუქცევიათ ამაზე მცირეოდენი ყურადღებაც-კი. აბა თემის გამგეობა ხომ „ასეთებისთვის“ არ იყო გაჩენილი. საზოგადოების შენობები როგორც არის: კლუბის, თემის სამმართველოს, ბიბლიოთეკა და სხვა სრულ დანგრევაზე არის მისული და აბა ვის უნდა ეკისრა მისი შეკეთება? სახელმწიფო თვითონ ღარიბია და ხალხი კი უფასოდ ერთ ქვასაც არ გადააბრუნებდა, რადგანაც ამაზე არც ძველი მთავრობა მიუთითებდა და არც ეცალა ესეთებისთვის და მთელი მათი ყურადღება მიმართული იყო იქით, რათა გაეღვივებიათ ეროვნული შუღლი და ყოველ დღე ახალი ფრონტი იყო მოსალოდნელი. უბრალო შენობის აგება და თუნდაც ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა თემში მთავრობას ძვირებული ხარჯი უჯდებოდა, როდესაც ასეთ ადგილობრივი მცხოვრებნი შეასრულებდენ რამოდენიმე საათში. დღეს კი ასეთი პოლიტიკა და უბრალო ხარჯები მთავრობას აღარ აწუხებს. კვირაობაში 4 საათის შრომის ნორმის შემოღებამ საქმეს ნაყოფი გამოიღო და ხალხი საზოგადო საქმის გაკეთებას სიხარულით ჰკიდებს ხელს. თითქმის ყველა თემებში აწარმოებენ შაბათობას, რომელიც შეფერხებული იყო ამ ოცი დღის წინად მოძლიერებული ყანების მუშაობით. ძიმითში დღეს უკვე მესამე კვირაობა მოეწყო. ამ რაიონში თვითონ ხალხმა გადასწყვიტა არ დაეკარგათ საქმის დღე და ემუშავათ კვირაობით, რითაც დაამტკიცა თავისი საქმიანობა. პირველი ყურადღება, რასაკვირველია, მიქცეულია დანგრეული გზების გასაკეთებლათ სამუშაოთ გამოდის ყველა შრომის უნარიანი მოქალაქე, მიუხედავად მათი წლოვანებისა. თუმცა გზების გაკეთებას კვირაობაში 4 საათის სამუშაო დრო ვერ უშველის, მაგრამ ზოგიერთ უბნებში ხალხი ორი საათი დამატებით მუშაობენ ამ საქმეზე და მოწადინებული არიან ამ ზაფხულშივე რაც შეიძლება გამოასწორონ გზის საქმე. ძიმითში განსაკუთრებით ენერგიულად ეკიდებიან საქმეს და კვირაობას ატარებენ ცხოვრებაში პირველი და მეოთხე უბნის შრომის კანდიდატები, რომლებიც საქართლიანი მადლობის ღირსნი არიან.

ხიკლა.

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ. 22 ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი“ ტელ. 1—33.

— მე-2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 6—69.

— მე 3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ვე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52.

— მე 5-თე რაიონის ბიურო—ავჭალის ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღება მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

საქართველოს ახალგ. კომკავშირის ცეკა

აცნობებს ყველა სამაზრო ორგანიზაციებს, რომ 20 აგვისტოს 1921 წ. ქ. თბილისში მოწვეულია პირველი ლეგალური ყრილობა ახალგაზრდა კომუნისტური კავშირისა.

დღის წესრიგი: 1) საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებით. 2) პოლიტიკური ამოცანები ს. ა. კ. კ., 3) მონაწილეობა სოციალისტურ აღმშენებლობაში, 4) ცეკას ანგარიში, 5) მოხსენება ახალგ. ინტ.-ის მეორე კონგრესზე, 6) პროგრამა და წესდება, 7) სექციათა მუშაობა, 8) არჩევნები.

წარმომადგენლობის ნორმა 50 კაციდან—1 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით.

ს. ა. კ. კ. ც. კ. მდივანი ძმელაძე.